კვების ობიექტებმა, (რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, /გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა/ კაფეები და ბარები) რომლებმაც პანდემიის პერიოდში 2020 წლის 28 ნოემბრის შემდგომ შეწყვიტეს ფუნქციონირება ან/და აგრძელებენ ფუნქციონირებას გატანის სერვისით, (ე.წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე.წ. „თეიქ ვეი“ და „დრაივი“) უნდა მიმართონ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შესაბამისი განცხადებით;

საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში განცხადებასთან ერთად წარმოადგენილი უნდა იქნას საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი, (ბოლო ამონაწერი-ინფორმაცია სალარო აპარატიდან ე.წ. „ზეტი“).

გატანის სერვისზე, (ე.წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანის (ე.წ. „თეიქ ვეი“ და „დრაივი“) სერვისზე გადასვლის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების მიერ განხორციელდება ობიექტის ადგილზე შემოწმება (ობიექტის აზომვა), რის შესაბამისადაც მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის კორექტირება 2020 წლის პირველი დეკემბრიდან 2021 წლის პირველ თებერვლამდე პერიოდზე. (დარიცხვა განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-46 დადგენილების დანართი 2-ის 23 პოზიციის შესაბამისად, როგორც „საცხობები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე)“, სამუშაო ფართის 1 $მ^2$ -ზე 0,32 ლარის ოდენობით

განცხადების ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.N119, კახეთის გზატკეცილი N67 ან ელ.ფოსტაზე info@tbsg.ge